GCL-2025/01 **სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულება**

/2026 დადებული GCL-2025 გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი

ქ.ზუგდიდი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. **მოგირავნე:** საფირმო სახელწოდება: (გამსესხებელი)	**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“**
იურიდიული მისამართი:	**საქართველო, ქ. თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N 118, 1-ლი პავილიონი** **ტელ: 2 300 300,** **ელ.ფოსტა: info@scapp.ge**
საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის თარიღი:	**205274273,** **05/03/2009**
წარმომადგენელი: უფლებამოსილება:	**დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობით მოქმედი**
1.2. დამგირავებელი: სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
მისამართი:	
ელ-ფოსტა:	_____
საკონტაქტო ტელ:	

სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების 200,000.00 ლარის ფარგლებში, რომელიც მოქმედია /2032 მდე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსეხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მოგირავნესა და მსესხებელს (რომელიც მითითებულია 4.2.4 პუნქტში) შორისდადებული, ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტში აღწერილი გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებისდა მისი მომსახურების მიზნით მის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებების საფუძველზე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე მოგირავნის მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, დამგირავებელი მოგირავნის სასარგებლოდ აგირავებს სამომავლო ქონებას -მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას/საშუალებებს (შემდგომში წოდებული „გირავნობის საგანი“, “ქონება”), რომლ(ებ)ის მახასიათებლები მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოგირავნე უფლებამოსილია დაგირავებული ქონებით სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს 4.2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, 3.2 პუნქტში მითითებული რიგითობით.

2.2. მესაკუთრე/დამგირავებელი აცხადებს, რომ იგი არის გირავნობის საგნის მართლზომიერი მფლობელი, რაც დასტურდება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების **ბრიფით N , კონოსამენტით ,** მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ტექ. დათვალიერების ოქმით № (აღნიშნული დოკუმენტების ასლები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს)

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მოგირავნე უფლებამოსილია მსესხებლის მიერ საკუთარი ვალდებულებების

შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში უპირატესად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნის ხარჯზე, წინამდებარე ხელშეკრულების “მე-15”მუხლში განსაზღვრული წესით.

მუხლი 3. გირავნობის საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გირავნობის საგანია ამ მუხლში აღწერილი მოძრავი ქონება – **ავტოსატრანსპორტო საშუალ(ები)ა**

3.2. გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნიდან მიღებულ ნაყოფზეც ასეთი ნაყოფის არსებობისას.

3.2.[1] მხარეები თანხმდებიან, რომ 3.3. პუნქტში მითითებული გირავნობის საგან(ები)ი განზრახ განადგურებულად/გადამალულად მიიჩნევა ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში:

გირავნობის საგნის განზრახ განადგურება/გადამალვა

გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის მომენტისათვის გირავნობის საგნის შეფასების აქტით განსაზღვრული ღირებულება შემცირებულია არანაკლებ 30%-ისა რაც დგინდება გირავნობის საგნის განმეორებითი შეფასების აქტით. (ღირებულების შემცირებად არ ჩაითვლება სესხის გაცემის და შესაბამისი შეფასების მომენტიდან გირავნობის საგნის წლიური ცვეთა- ყოველწლიურად არაუმეტეს შეფასების აქტით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით);

გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება თავდაპირველი შეფასების აქტით (სესხის გაცემის მომენტისათვის შედგენილი შეფასების აქტი) განსაზღვრული გირავნობის საგნის მდგომარეობას (ავტომანქანა დაშლილია, ამოღებულია მნიშვნელოვანი ნაწილები, განადგურებულია/დამწვარია, არსებობს თვალსაჩინო დაზიანებები და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა დასტურდება გამსესხებლის მიერ გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალით) მიუხედავად იმისა აღნიშნული დაზიანებები გამოწვეული იქნა უშუალოდ მსესხებლის თუ თუ ნებისმიერი სხვა მესამე პირის მიერ;

გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგანი დაზიანდა ან განადგურდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და თუ:

- ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ავტოსაგზაო შემთხვევის აქტი გაცემული საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ, აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;
- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გირავნობის საგანს მართავდა მსესხებელი ან სხვა მესამე პირი არაფხიზელ მდგომარეობაში;
- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გირავნობის საგანს მართავდა არაუფლებამოსილი(მართვის მოწმობის არმქონე პირი);
- ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომა გამოწვეული იქნა მსესხებლის ან სხვა მესამე პირის(გირავნობის საგნის მძღოლის) მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით
- ნებისმიერ შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევისას თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა არაუფლებამოსილი პირი (უფლებამოსილ მძღოლთა/პირთა სია განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართის სახით).
- მსესხებელი/დამგირავებელი საკუთარი სურვილით დააზღვევს გირავნობის საგანს გამსესხებელი/მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ან/და იმ შემთხვევაში თუ გამსესხებელი/მოგირავნე არ იქნება რეგისტრირებული მოსარგებლედ სადაზღვევო პოლისში, რაც გირავნობის საგნის დაკარგვის, დაზიანების, განადგურების ან ნებისმიერი სხვა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეუძლებელს გახდის გამსესხებლის/მოგირავნისათვის ზარალის ანაზღაურებას.

გირავნობის საგანი გადამალულად მიიჩნევა თუ გამსესხებლის მოთხოვნიდან (მოთხოვნად მიიჩნევა მსესხებლისათვის/მესაკუთრისათვის გაგზავნილი შეტყობინება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით) არაუგვიანეს 3 კვირის ვადაში მსესხებლის/მესაკუთრის მიერ გამსესხებლისათვის/მოგირავნისათვის არ იქნა წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, ან თუ გირავნობის საგანი დასმულია ძებნა-დაკავებაზე და ვერ იქნა მოძიებული ძებნა-დაკავებაზე დასმიდან 2 თვის განმავლობაში, რაც დასტურდება აღმასრულებლის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით.

იმ შემთხვევაში თუ გირავნობის საგანი ზემოთ აღნიშნული რომელიმე შემთხვევის დადგომის შედეგად განადგურდება ან აღმოჩნდება გადამალული მსესხებელი/მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია მთელი თავის ქონებით.

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი/მესაკუთრე ადასტურებს, რომ ეთანხმება გირავნობის საგნის შეფასებას თანახმად გამსესხებლის მიერ მომზადებული შეფასების აქტისა, არ აქვს ამასთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა თუ პრეტენზია;

3.3. გირავნობის საგნის მახასიათებლებია:

ვინი/შასი	
მოდელი	
გამოშვების წელი	

გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა:	

მუხლი 4. გირავნობით უზრუნველყოფილი ფარგლები და მოთხოვნა

4.1 უზრუნველყოფის ფარგლები

გირავნობით უზრუნველყოფილია:	მოგირავნის მოთხოვნა, რაც წარმოშობილია 4.2 პუნქტში აღწერილი ხელშეკრულებიდანდა მისი მომსახურების მიზნით მის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებიდან, მათ შორის და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე: შემადგენელი კრედიტების, საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების მომსახურების მიზნით დადებული ყველა ხელშეკრულებიდან და სრულად უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ ათვისებული ძირითადი თანხების, სესხზე რიცხული სარგებლის გადახდას, სესხზე გაწეული მომსახურების საკომისიოს გადახდას, შესაძლო პირგასამტეხლოს, გირავნობის მოწმობის აღების ხარჯებს, სააღსრულებო წარმოების ხარჯების ანაზღაურებას, საარბიტრაჟო/სასამართლო წარმოების ხარჯებს, გირავნობის საგნის გამსესხებლის საკუთრებაში მიღების ან/და მისი რეალიზაციის ხარჯების ანაზღაურებას, გირავნობის საგნის გამსესხებლის მფლობელობაში არსებობის განმავლობაში გამსესხებლის მიერ გაწეული მოვლა–შენახვის ნებისმიერ ხარჯს, მისი პარკირების ხარჯებს, მათ შორის მსესხებლის/დამგირავებლის ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობის შემთხვევაში მსესხებლის/დამგირავებლის მისამართზე პრობლემური აქტივების დამუშავების სპეციალისტის გასვლის და მისი მომსახურების ხარჯები, ნებისმიერი სხვა ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, ნებისმიერ შესაძლო ზიანის და ნებისმიერ მისგან გამომდინარე ხარჯების ანაზღაურებას) (შემდგომში – „უზრუნველყოფილი მოთხოვნა“).

4.2 **უზრუნველყოფილი მოთხოვნის საფუძველი:**

4.2.1. ხელშეკრულების სახე	**ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ**
4.2.2 ხელშეკრულების ნომერი	**GCL-2025**
4.2.3 გამსესხებელი	**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ**
4.2.4 მსესხებელი	
4.2.5 ხელშეკრულების დადების თარიღი:	
4.2.6 მოქმედების ვადა;	
4.2.7 საკრედიტო ხაზის ლიმიტი:	**შეადგენს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტითა და აღნიშნულ პუნქტში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის შესაბამისად გათვალისწინებულ ოდენობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
4.2.8 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	**საკრედიტო პროდუქტებზე: არაუმეტეს 50%-ისა**

4.3. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს დამგირავებლის მიერ მოგირავნის სასარგებლოდ დაგირავებული წინამდებარე ხელშეკრულების მე**-3 მუხლში** მითითებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

4.4. მოგირავნეს უფლება აქვს, გირავნობის საგნის ხარჯზე, დამგირავებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი უფლებების ჩათვლით,

წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად, თუ:

4.4.1. მსესხებელი არაჯეროვნად ან არ ასრულებს “4.2.” პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებებს;

4.4.2. დაგირავებული ქონება დაიკარგა, გაფუჭდა ან გაუფასურდა და იგი დაკარგვის, გაფუჭების ან გაუფასურების მომენტიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში არ შეიცვალა სხვა შესაბამისი სახისა და ხარისხის ქონებით;

4.4.3. დამგირავებელი დაარღვევს წინამდებარე და მისი შემადგენელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 5. გირავნობის საგნის ნივთობრივი მდგომარეობა

5.1 დამგირავებელი ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ გირავნობის საგანი არ არის სხვა ვალდებულებათა უზრუნველყოფის საგანი და მასზე არ არსებობს არანაირი დავა. ამასთანავე, დამგირავებელი ადასტურებს საკუთარ უფლებამოსილებას, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე, რაც დასტურდება 2.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებით. იგი ადასტურებს, რომ გირავნობის საგანს ფლობს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად. მოგირავნე ასევე აცხადებს, რომ მისთვის უცნობია გირავნობის საგანზე რაიმე ნაკლის ან გირავნობის საგნის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიების არსებობის შესახებ. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გირავნობის საგნის დაგირავება არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსს, სხვა საკანონმდებლო აქტებს და არ არღვევს სხვა პირთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს. გირავნობის საგანს არ გააჩნია რაიმე დაფარული თვისება, რომლის გამომჟღავნების შედეგად შემცირდება გირავნობის საგნის ღირებულება. მხარეთა შეფასებითა და განცხადებით, გირავნობის საგანი ვარგისია ექსპლუატაციისათვის.

მუხლი 6. დამგირავებლის განცხადებები და გარანტიები

დამგირავებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1 მართლზომიერად ფლობს გირავნობის საგანს, გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა.

6.2 ამ ხელშეკრულების დადების დღისთვის არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.

6.3 მის მიერ მოგირავნისათვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის არის უტყუარი და ზუსტი.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, მოგირავნის, ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

6.6 ამასთანავე მისთვის ცნობილია, რომ მოგირავნისათვის ყალბი ცნობების და/ან დოკუმენტების მიწოდება გირავნობის გასაფორმებლად, იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.

6.7 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, დამგირავებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ნათელია, თუ რა სახის და მოცულობის ათვისებული კრედიტებიდან წარმოშობილი, ასევე კლიენტის მიერ მომავალში დასადები ხელშეკრულებ(ებ)ით, რა სახის და მოცულობის სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აგირავებს ქონებას მოგირავნის სასარგებლოდ. იგი იცნობს 4.2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებისტექსტს სრულად და გასაგებია მისი შინაარსი.

6.8 მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მოგირავნე წინამდებარე ხელშეკრულებას დებს მოცემულ განცხადებებზე, გარანტიებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია მოგირავნის მიერ გაცემული კრედიტის უკან გამოსათხოვად და/ან 4.2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კრედიტის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად. ხოლო თუ კრედიტის გაცემულია ან რომელიმე მომსახურება დაწყებულია მაშინ ასეთის გამოთხოვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს მიღებული ნებისმიერი კრედიტი, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და დაკისრებული პირგასამტეხლო (არსებობის შემთხვევაში) ხოლო სხვა მომსახურების შემთხვევაში მიღებული მომსახურებით მიღებული თანხები ან/და უფლებები. Dდამგირავებლის მიერ ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია მიმართოს წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 15. პუნქტი 15.2 ის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სანქციებიდან ერთ-ერთს;

მუხლი 7. გირავნობის წარმოშობა, რეგისტრაცია.

7.1. გირავნობა წარმოიშობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან, გირავნობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ რეგისტრაციას შსს მომსახურების სააგენტოში და მოქმედებს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღწერილი მოგირავნის მოთხოვნების სრულად შესრულებამდე. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება წერილობითი ფორმით. თუ ცვლილება თავისი შინაარსით საჭიროებს შსს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას (მოთხოვნის შეცვლა სხვა მოთხოვნით, გირავნობის რიგითობის შეცვლა, ცვლილება უზრუნველყოფილ მოთხოვნაში გირავნობის წინა ჩანაწერის შეუცვლელად და ა.შ.) ამგვარი ცვლილება უნდა წარედგინოს შსს მომსახურების სააგენტოს რეგისტრაციის მიზნით.

მუხლი 8. გირავნობის საგნით სარგებლობა, გარიგების დადება გირავნობის საგანზე.

8.1. დამგირავებელს უფლება აქვს ისარგებლოს გირავნობის საგნით ისე, რომ ამით არ შემცირდეს გირავნობის საგნის ღირებულება, თუ ეს შემცირება არ არის გირავნობის საგნის ნორმალური სამეურნეო გამოყენების შედეგი.

8.2. ამ ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გირავნობის შეწყვეტამდე დამგირავებელი არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მოგირავნის მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. დამგირავებლის მიერ გირავნობის საგანზე გარიგების დადებისათვის (გირავნობის საგნის მთლიანი, ან ნაწილობრივი გასხვისება,

მართვის უფლებით გადაცემა, შემდგომი დაგირავება, გაქირავება, იჯარით გაცემა) აუცილებელია მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობა. მოგირავნის უარი გამორიცხავს გირავნობის საგანზე გარიგების დადების შესაძლებლობას. ამ წესის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. თუ მოგირავნე წერილობით გასცემს ამგვარ თანხმობას მაშინ შემძენი იძენს გირავნობით დატვირთულ ქონებას. ასეთი გარემოებისას შემძენი და დამგირავებელი ვალდებულნი არიან ერთობლივად მოახდინონ ახალი შემძენის დამგირავებლად რეგისტრაცია და სათანადო დოკუმენტი წარმოუდგინონ მოგირავნეს.

8.3. დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის გადაკეთება და/ან გარდაქმნა (ძრავის, ძარის, შასის შეცვლა და ა.შ) დაუშვებელია მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გირავნობის საგნის გადამუშავება, სხვა მოძრავ ნივთთან შერწყმა ან შეერთება არ იწვევს გირავნობის უფლების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში რიგითობა განისაზღვრება გადამუშავებამდე ან შერწყმამდე არსებული გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტის შესაბამისად.

8.4. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დამგირავებელს ეკრძალება გირავნობის საგნის სხვა საგანთან გაერთიანება და/ან გაყოფა. ამგვარი მაინც მოხდება, ამ ხელშეკრულებით დადგენილი გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგანთან შეერთებულ ნაწილზეც). გირავნობის საგნის გაყოფის შედეგად წარმოშობილ ნივთებზე (გირავნობის საგნის ნაწილებზე) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი გირავნობა, უცვლელი რჩება. გირავნობის საგნის გაყოფის შედეგად მიღებული თითოეული ნივთი (გირავნობის ახალი საგანი) სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნას, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგინდა გირავნობა. თუ გირავნობის საგანს დაემატება რაიმე გაუმჯობესება გირავნობა ვრცელდება გირავნობის საგნის ყველა გაუმჯობესების მიმართ.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 8 პ. 8.1, 8.2, 8.3, 8.4, შეურსულებლობის შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია მიმართოს წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 15, პუნქტი 15.2 ის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სანქციებიდან ერთ-ერთს;

8.6. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობისას გირავნობის საგანი შეიძლება რამდენჯერმე დაგირავდეს, მაგრამ რიგითობა განისაზღვრება დაგირავების მომენტის შესაბამისად.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობით გირავნობის საგანი გაიცემა სარგებლობის (მფლობელობის) უფლებით, გირავნობის საგანზე მესამე პირის უფლება შეწყდება გირავნობის საგნის რეალიზაციის მიზნით გამოთხოვისთანავე.

8.8. დამგირავებლის უფლება - გამოიყენოს გირავნობის საგანი, წყდება ამ ხელშეკრულების მე-14 ან/და მე-15 მუხლში აღნიშნული მოთხოვნის თარიღიდან და დამგირავებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს მოგირავნეს გირავნობის საგანი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

მუხლი 9. დამგირავებლის ვალდებულება

9.1. გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობის, მისი შემთხვევით განადგურების, ან დაზიანების რისკი ეკისრება დამგირავებელს.

9.2. დამგირავებელი ვალდებულია:

9.2.1. შეინარჩუნოს გირავნობის საგნის რეალური ღირებულება და გირავნობის საგნის არსებობისთვის საფრთხის შექმნისას გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ამ საფრთხის თავიდან აცილება.

9.2.2 მიიღოს საჭირო ზომები გირავნობის საგნის უვნებლად შესანარჩუნებლად, დაიცვას მესამე პირების ხელყოფისა და/ან მოთხოვნებისაგან.

9.2.3. დაუყოვნებლივ აცნობოს მოგირავნეს გირავნობის საგნის ღირებულების შემცირების საშიშროების წარმოქმნის და/ან გირავნობის საგნის განადგურების (მნიშვნელოვანი დაზიანების) შესახებ.

9.2.4. უზრუნველყოს გირავნობის საგნის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და გაიღოს ყველა ხარჯი ჯეროვანი მოვლა-პატრონობისათვის გირავნობის შეწყვეტამდე.

9.2.5. თუ გირავნობის საგანი დაიკარგა, განადგურდა, დაზიანდა ან შეწყდა მასზე საკუთრების უფლება, დამგირავებელი ვალდებულია ასეთი შედეგის დადგომიდან 10 (ათი) დღის ვადაში აღადგინოს ან მოგირავნესთან შეთანხმებით შეცვალოს იგი იმავე ღირებულების ქონებით;

9.2.6. გირავნობის საგანზე ნებისმიერი სახის ცვლილების (ავტომანქანის ტიპი, ფერი, სახ. ნომერი, მესაკუთრე და ნებისმიერი სხვა ცვლილება) განხორციელების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს გირავნობის საგნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის-ტექ.პასპორტის ცვლილებას. მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია გამსესხებელ/მოგირავნეს წარუდგინოს შეცვლილი ტექ.პასპორტი ასეთი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

9.3. მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში:

9.3.1. გირავნობის საგანი დატოვოს გამსესხებლის მფლობელობაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე, რომლის თაობაზეც დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის გაფორმდება შესაბამისი შეჩერების ოქმით, რომლის საფუძველზეც გირავნობის საგანი შეჩერებული იქნება მხარეთა მიერ შერჩეულ ავტოსადგომზე;

9.3.2 ავტოსადგომზე გირავნობის საგნის შეჩერების საფასურის გადახდა ეკისრება დამგირავებელს, ამასთან, მოგირავნე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ინფორმაცია ავტოსადგომის ადმინისტრაციიდან გირავნობის საგნის ავტოსადგომზე დგომის საფასურის დავალიანების არსებობის შესახებ;

9.3.3 იმ შემთხვევაში თუ დამგირავებელის დავალიანება ავტოსადგომის მიმართ აღემატება 300 (სამასი) ლარს მოგირავნე უფლებას იტოვებს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და დამგირავებლის თანხმობის გარეშე გამოიყვანოს გირავნობის საგანი ავტოსადგომიდან იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

მუხლი 10. მოგირავნის უფლებები

ა) მხარეები თანხმდებიან რომ, თუ გირავნობის მოწმობის კერძო აღმასრულებელთან წარდგენიდან 2 თვის ვადაში ვერ მოხერხდება გირავნობის საგნის მოძიება გამსესხებელი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მსესხებლის საკუთრებაში არსებულ და

სამომავლოდ არსებული ნებისმიერი/მთელი ქონებიდან;

ბ) თუ გირავნობის საგანი დაიკარგა, განადგურდა, დაზიანდა ან შეწყდა მასზე საკუთრების უფლება, მსესხებელი ვალდებულია გამსესხებლისთვის მისაღებ ვადაში აღადგინოს ან გამსესხებელთან შეთანხმებით შეცვალოს იგი იმავე ღირებულების ქონებით.

გ) თუ გირავნობის საგანი დაიკარგა და იგი ვერ იქნა მოძიებული, დაკარგვიდან 2 თვის ვადის გასვლის შემდგომ გამსესხებელს/მოგირავნეს უფლება აქვს აღსრულება მიაქციოს მსესხებლის/დამგირავებლის ნებისმიერ სხვა ქონებაზე;

დ) გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე **დამგირავებელს** არ აქვს უფლება განახორციელოს გირავნობის საგნის გადამუშავება, სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებასთან შერწყმა ან შეერთება, აღნიშნულის შემთხვევაში გირავნობის უფლება არ შეწყდება;

ე) დამგირავებელი ვალდებულია შეინარჩუნოს გირავნობის საგნის რეალური ღირებულება და არ დაუშვას მისი დაზიანება ან განადგურება. გირავნობის საგნის მოვლა–შენახვის და შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი ეკისრება დამგირავებელს. იმ შემთხვევაში თუ დამგირავებელი არ ასრულებს გირავნობის საგნის სათანადო მოვლა–შენახვის ვალდებულებას, მოგირავნეს უფლება აქვს მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის ან მესამე პირისთვის გადაცემა;

ვ) თუ ვითარების საგნის გაუარესების გამო გირავნობის საგნის არსებობას შეექმნა საფრთხე, დამგირავებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე მოგირავნეს და დროულად უზრუნველყოს საფრთხის თავიდან აცილება;

ზ) **დამგირავებელი** ვალდებულია, წინასწარ შეთანხმებულ დროს, დაუშვას გამსესხებელი ან მისი რწმუნებული პირი გირავნობის საგნის მდგომარეობის შესამოწმებლად.

თ) მსესხებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულად შესრულების/გაუქმების შემთხვევაში, მოითხოვოს უზრუნველყოფაში წარმოდგენილ მოძრავ ქონებაზე გირავნობის უფლების გაუქმება;

ი) გამსესხებელი/მოგირავნის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარმოადგინოს გირავნობის საგანი ავტომანქანაში სატრანსპორტო GPS მოწყობილობის ინსტალაციის მიზნით;

კ) იმ შემთხვევაში, თუ დამგირავებელი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ამ მუხლით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას, მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემა და ამ მიზნით ამოიღოს გირავნობის საგანი. დამგირავებელი ვალდებულია უპირობოდ შეასრულოს მოგირავნის ეს მოთხოვნა. უარის შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია მიმართოს წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 15, პუნქტი 15.2 ის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სანქციებიდან ერთ-ერთს;

მუხლი 11. გირავნობის საგნის შეცვლა

11.1. მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირავნობის საგნის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ: გირავნობის საგნის ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება უზრუნველყოფილ მოთხოვნას ან დამგირავებლის მიმართ მესამე პირმა შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს გირავნობის საგანზე (ან მის ნაწილზე) დამგირავებლის საკუთრების უფლების შეწყვეტას, ან შეზღუდვას. დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნის მოთხოვნიდან 15 დღეში დააკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნის შეცვლის შესახებ. გირავნობის საგნის შეცვლა სხვა საგნით და მისი დაგირავება საჭიროებს გირავნობის ახალი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას.

მუხლი 12 შეტყობინების ვალდებულება მესამე პირთა სარჩელის შესახებ

12.1. დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნეს დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მის მიმართ მესამე პირის მიერ სარჩელის აღძვრის შესახებ, თუ სასარჩელო მოთხოვნის საგანია გირავნობის საგანზე ან მის ნაწილზე დამგირავებლის საკუთრების უფლების შეწყვეტა, ან შეზღუდვა (გირავნობის საგანზე ან საგნის ნაწილზე მესამე პირის საკუთრების უფლების აღიარება). ამ ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს მოგირავნის მიერ ვალდებულებათა შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძველს;

მუხლი 13. გირავნობის საგნის დაზღვევა

13.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 262–ე მუხლის მიხედვით მხარეები ვთანხმდებით, რომ **დამგირავებელი** ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ანიჭებს უფლებამოსილებას გამსესხებელს/მოგირავნეს, ხელშეკრულების ვადის განმავლობაში გამსესხებელმა/მოგირავნემ თავისი შეხედულებით ნებისმიერ დროს და ხანგრძლივობით განახორციელოს გირავნობის საგნის დაზღვევა და ნებისმიერ დროს შეწყვიტოს აღნშნული დაზღვევა, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში (შემდგომში წოდებული როგორც, „მზღვეველი“), რისთვისაც საჭირო არ იქნება **დამგირავებელის** დამატებითი თანხმობა. **დამგირავებელი**, საჭიროების შემთხვევაში, თავის მხრივ ვალდებულია ითანამშრომლოს გამსესხებელთან სადაზღვევო პოლისის შეძენის საკითხებში.ხელშეკრულების მიზნებისათვის მოგირავნე(გამსესხებელი) წარმოადგენს როგორც დამზღვევს, ასევე მოსარგებლეს.დამგირავებელი ადასტურებს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სადაზღვევო შემთხვევის (რომელიც განსაზღვრულია მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით) დადგომის შემთხვევაში, დაზღვევის კომპენსირებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება მოგირავნის უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

13.2 მსესხებელი/დამგირავებელი უფლებამოსილია საკუთარი სურვილით დააზღვიოს გირავნობის საგანი მხოლოდ იმ პირობით, რომ გამსესხებელი/მოგირავნე სადაზღვევო პოლისში რეგისტრირებული იქნება მოსარგებლედ. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გირავნობის საგნის დაკარგვის, დაზიანების, განადგურების ან ნებისმიერი სხვა სადაზღვევო შემთხვევისას მიღებული ანაზღაურება იკავებს გირავნობის საგნის ადგილს.

13.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გირავნობის საგანი არის დაზღვეული რომელიმე სადაზღვევო კომპანიაში, მაშინ დაზღვევის კომპენსირებული თანხით პირველ რიგში დაიფარება გამსესხებლის უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

მუხლი 14. ვალდებულებების ვადამდელი შესრულების მოთხოვნა

14.1. მოგირავნეს უფლება აქვს მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების ვადამდელი შესრულება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მისი ნებისაგან

დამოუკიდებლად დამგირავებელმა შესაძლოა დაკარგოს საკუთრების უფლება გირავნობის საგანზე.

14.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლება მოგირავნეს აქვს იმ შემთხვევაშიც, თუ დამგირავებელმა:

დაარღვია ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით ან/და მე-8 მუხლით დადგენილი რომელიმე ვალდებულება.

14.3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ვალდებულებების ვადამდელი შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში მოგირავნეს უფლება აქვს დაიწყოს გირავნობის საგანზე აღსრულების მიქცევა.

მუხლი 15. მოგირავნის უფლების განხორციელების საფუძვლები მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადის დადგომისას

15.1. მოგირავნე უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება გირავნობის საგანზე გადახდევინების მიქცევისათვის, თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და საკრედიტო ვალდებულება არ შესრულდება ან დამდგარია ისეთი გარემოება რაც აძლევს მოგირავნეს გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს გირავნობის საგნის დაუყოვნებლივ გადაცემა, რაც დამგირავებლის მიერ დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს სავალდებულო წესით. იმ შემთხვევაში თუ დამგირავებელი არ ასრულებს გირავნობის საგნის გადაცემის ვალდებულებას ორი კვირის განმავლობაში, მაშინ მოგირავნე მიმართავს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით, რომლის სააღსრულებო დაწესებულებაში წარდგენის საფუძველზე მოგირავნე იძულების სახით მოითხოვს გირავნობის საგნის მის მფლობელობაში გადაცემას.

15.2 მხარეები ვთანხმდებით, რომ მსესხებლის მიერ გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების **GCL--2025**და მისი შემადგენელი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების/ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მოგირავნე უფლებამოსილი იქნება საკუთარი არჩევანით გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილ სანქციებიდან ერთერთი:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1] მუხლის შესაბამისად, მიიღოს საკუთრებაში გირავნობის საგანი (დაგირავებული ნივთი გადავიდეს მოგირავნის საკუთრებაში). ასეთ დროს გამესესხებელს ეძლევა უფლება, უპირობოდ განცხადებით მიმართოს მომსახურების სააგენტოს და გადაიფორმოს გირავნობის საგანი თავის საკუთრებაში. გამსესხებელს არ ესაჭიროება **დამგირავებელის** თანხმობის (წერილობითი ან ზეპირი) წარდგენა მომსახურების სააგენტოში და ეს უკანასკნელი ვალდებულია, გამსესხებლის განცხადების საფუძველზე, რომელსაც დაერთვება ხელშეკრულების ასლი, გირავნობის საგნის მესაკუთრედ დაარეგისტრიროს გამსესხებელი/**მოგირავნე;**

ბ) განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283–ე მუხლის საფუძველზე, უშუალოდ (გირავნობის საგნის პირდაპირი მიყიდვის გზით) ან სპეციალური სავაჭრო დაწესებულების მეშვეობით;

15.3 დამგირავებელი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების ამავე მუხლის 15.2. პუნქტის ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას მოგირავნე განახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ, რისთვისაც მას (მოგირავნეს) არ ესაჭიროება დამგირავებელის რაიმე დამატებითი (ზეპირი თუ წერილობითი) თანხმობა ან დამატებითი შეთანხმება.

15.4 დამგირავებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულებითა და მისი დანართებით განსაზღვრული ვალდებულებების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოგირავნის განცხადების საფუძველზე, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გასცემს გირავნობის მოწმობას, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებას ანიჭებს მოგირავნეს:

15.4.1 მიიღოს ქონება მფლობელობაში იძულებითი წესით, სასამართლოს გარეშე, სააღსრულებო დაწესებულებაში გირავნობის მოწმობის წადგენის საფუძველზე და

15.4.2 დარეგისტრირდეს ქონების მესაკუთრედ, ან განახორციელოს მისი რეალიზაცია.

15.4.3. იმ შემთხვევაში, თუ ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხა, ან ქონების ღირებულება სრულად არ ფარავს “4.2” პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ით და მათი შემადგენელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოგირავნის მოთხოვნას, მასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით უფლებებთან ერთად, მოთხოვნა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად და დარჩენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, გამსესხებლის წინაშე პასუხი აგოს მთელი თავისი ქონებით იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გირავნობის საგანი ვერ დააკმაყოფილებს უზრუნველყოფილ მოთხოვნას. (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე **ან/და თუ უზრუნველყოფაში შემოთავაზებული ქონება მიჩნეულია განზრახ განადგურებულად/გადამალულად**)

15.5 დამგირავებელი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დავალებას აძლევს მოგირავნეს, რეალიზაციის უფლების წარმოშობის შემთხვევაში გირავნობის საგნის რეალიზაცია მოახდინოს უშუალოდ მოგირავნემ დამგირავებლის სახელით და ხარჯზე, ხოლო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით მოგირავნემ თავად განსაზღვროს არსებული უზრუნველყოფის საგნებით მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობა.

15.5 დამგირავებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს გირავნობის საგანზე გადახდის მიქცევა და მისი რეალიზაცია მოგირავნის ყველა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებით.

15.6 იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის რეალიზაცია ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მყიდველი შეიძენს გირავნობისაგან თავისუფალ საგანს თუ არ არსებობენ წინა რიგის მოგირავნეები.

15.7 გამსესხებელი უფლებამოსილია იძულების წესით გირავნობის საგნის გამსესხებლისთვის გადაცემის ხარჯები დააკისროს მსესხებელს.

მუხლი 16. ხელშეკრულების/გირავნობის შეწყვეტის საფუძვლები

16.1 გირავნობა წყდება

ა) ამ ხელშეკრულების 4.2. პუნქტში მითითებული ვალდებულებების შესრულებით.

ბ) მოგირავნის მიერ გირავნობაზე უარის შემთხვევაში, რაც გულისხმობს დამგირავებლის მიერ მოგირავნის წერილობით შეტყობინებას

წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი **GCL-2025** გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

გ) გირავნობით დატვირთული ქონების დაღუპვისას;

დ) გირავნობის საგნის რეალიზაციისას ან მოგირავნის საკუთრებაში გადასვლისას;

ე) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში

მუხლი 17. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

17.2.წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

17.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო თემიდა"-ს (საინდიფიკაციო კოდი 402302129) (შემდგომში - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი) ან მის სამართალმემკვიდრეს; საქმეს განიხილავს ერთი არბიტრაჟისგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავჯდომარე. მხარეების მიერ არბიტრის აცილების ვადა განისაზღვრება 5 დღით.

17.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დავას განიხილავს საქართველოში (თბილისში). საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება ქართულ ენაზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის.

17.5 მხარეები ვთანხმდებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავჯდომარემ.

17.6 მხარეები თანხმდებიან თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 10 000 (ათიათას) ლარს ან მის ექვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგების თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად სხვა ვალუტაში, არბიტრაჟს უფლება აქვს დავა განიხილოს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად.

17.7 მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრ(ებ)ს შორის წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის სასუალებით. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებით (ან სხვა დოკუმენტით) განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე. მსესხებელი/თანამსესხებელი (მოგირავნე/მესაკუთრე/თავდები) აცხადებს თანხმობას, რომ არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის საარბიტრაჟო საქმის წარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების)/ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებაში (ან სხვა დოკუმენტში) მითითებულ მის პირად ელ. ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით გაგზავნა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით.

17.8 ისეთ შემთხვევაში, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის საარბიტრაჟო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც განთავსდება არბიტრაჟის ვებგვერდზე: www.arbitraji.gweb.ge. საარბიტრაჟო შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

17.9 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

17.10 საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შორის დავის წარმოშობის დროისათვის არბიტრაჟის მოქმედი დებულების შესაბამისად, ხოლო საერთო სასამართლოების მიერ დავის განხილვის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 18. შეტყობინების წესი

18.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ ფაქტიურ/იურიდიულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ.ფოსტის მისამართებზე;

ა) გამსესხებლისთვის (მოგირავნისთვის) – საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ. #118; 1-ლი პავილიონი; 2 300 300, **info@scapp.ge;**

ბ) დამგირავებლისთვის/წარმომადგენლისთვის - **წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ.ფოსტაზე:**

18.2. შეტყობინებების მიწოდება უნდა მოხდეს წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ მისი მიღების დადასტურების საშუალებას. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც თუ დამგირავებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი ჩაიბარებს მას;

18.3. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება დამგირავებლის წარმომადგენლისათვის შეტყობინების ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიწოდების შემთხვევაშიც**წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტის მისამართებზე**და/ან **მობილური ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მისვლით.**

18.4. დამგირავებელი ადასტურებს, რომ ზემოთ აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერ(ებ)ი ნამდვილად მას ეკუთვნის;

18.5. მოგირავნე ვალდებულია გირავნობის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, რეალიზაციამდე 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით გააფრთხილოს დამგირავებელი რეალიზაციის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე.

18.6 დამგირავებელი აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს გამსესხებლის/მოგირავნის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელექტრონულ ფოსტაზე;

18.7 მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ დამგირავებლის მისამართზე, მათ შორის ელ ფოსტის მისამართზე, მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება **დამგირავებელის** მიერ მიღებულად;

18.8 იმ შემთხვევაში, თუ დამგირავებელი შეიცვლის **ადგილსამყოფელს, ტელეფონისა ნომერსა თუ ელ.ფოსტის მისამართს**, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს **მოგირავნეს;**

18.9 ამ მუხლის 18.8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი დამგირავებელი წერილობით აცნობებს **მოგირავნეს** მის შეცვლილ ადგილსამყოფელს, ელ.ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ახალი ადგილსამყოფელი და ელ.ფოსტის მისამართი და მასზე სრულად გავრცელდება ამ მუხლის 18.6. და 18.7. პუნქტებით დადგენილი წესები;

18.10 **დამგირავებლის**მიერ წინამდებარე მუხლის 18.8. პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რამე სახის პრეტენზიის დაყენება **მოგირავნის** მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად და არაორაზროვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ **მოგირავნისათვის** ცნობილი იყო **დამგირავებლის** ახალი **მისამართები.**

18.11. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტში ან/და მასთან დაკავშირებით დამგირავებლის მიერ გამსესხებლისთვის წარდგენილ განაცხადში, მითითებულია დამგირავებლის მხრიდან საკონტაქტო პირი, გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, დამგირავებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი მოთხოვნების ამოღების მიზნით) ნებისმიერი სახის და შინაარსის კომუნიკაცია (მათ შორის და არა მხოლოდ, უზრუნველყოფილი მოთხოვნების მოცულობისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესახებ) განახორციელოს შეუზღუდავად, როგორც თავად დამგირავებელთან, ისე საკონტაქტო პირთან. დამგირავებელი ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა ნებართვა და თანხმობა საკონტაქტო პირისგან, მისი პერსონალური მონაცემების მოგირავნისთვის გადაცემის და მათი დამუშავების თაობაზე და საკონტაქტო პირი ინფორმირებულია;

18.12. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში მითითების გზით (მათ შორის გამსესხებლისთვის ზეპირი ფორმით მიწოდებული ინფორმაციით) ან/და საჯარო წყაროებიდან, გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა დამგირავებელთან დაკავშირებული მესამე პირ(ებ)ის ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი, გამსესხებელი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, დამგირავებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი ამოღების მიზნით) დაუკავშირდეს აღნიშნულ პირ(ებ)ს და მოახდინოს მათთან ნებისმიერ სახისა და შინაარსის კომუნიკაცია, რაც გამომდინარეობს დამგირავებლის ადგილმდებარეობის მოძიების ან/და მასთან დაკავშირების მიზნებიდან;

მუხლი 19. წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილის ბათილობის შედეგები

19.1. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას. ხოლო ბათილი დებულების ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი დებულება, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.

20. პრეტენზიების წარდგენის წესი

20.1 **დამგირავებელი** უფლებამოსილია **მოგირავნეს** წაუყენოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან/დანართებიდან გამომდინარე პრეტენზია წერილობით, გამსესხებლის ვებ გვერდზე www.scapp.ge მომხმარებელთა პრეტენზიების მოდულში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებით ან ზეპირად.

20.2. **მოგირავნე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილოს **დამგირავებელის** მიერ წარმოდგენილი პრეტენზია და შეატყობინოს შესაბამისი გადაწყვეტილება **დამგირავებელს,** მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით ან/და საკონტაქტო ტელეფონზე ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიწოდების გზით. შესაძლებელია დამგირავებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პასუხი პრეტენზიაზე ჩაბარდესმატერიალური ფორმით

20.3 მსესხებლის მიერ წაყენებული პრეტენზიების მიღება, დამუშავება და შედეგების შესაბამისი ადრესატებისათვის გაცნობა ხორციელდება, გამსესხებლის მიერ წარდგენილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ოფიცრის მიერ.

მუხლი 20[1]. კონფიდენციალურობა, პერსონალური მონაცემის დამუშავება

20[1].1. მესაკუთრე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ თანხმობას აძლევს გამმსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების, საფუძვლებითა და წესით.

20[1].2. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით. მესაკუთრე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების ზემოაღნიშნულ ფარგლებში დამუშავებაზე და მესამე პირებისთვის გადაცემაზე.

20[1].3. გამსესხებელი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ გამსესხებლის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის, შესაბამისი სასამართლო განჩინების, ამ შეთანხმების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.

20[1].4. მონაცემების შენახვა ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საგადასახადო კოდექსისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვად(ებ)ის გათვალისწინებით. მონაცემთა სუბიექტს (მესაკუთრე) უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს გამსესხებელს და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია.

20[1].5. მესაკუთრეს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;

მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გატანის უფლება, გასაჩივრების უფლება;

20^1.6. მესაკუთრეს კანონის შესაბამისად უფლება აქვს გამსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების მიმართვის გზით გაიხმოს/გაითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნით გაცემული თანხმობ(ები)ა.

20^1.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში, მესაკუთრის მხრიდან მისი უფლებების რეალიზაციის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულებას, მათ შორის მესაკუთრის მოთხოვნის შესრულებას თანხმობის გახმობის თაობაზე; თანხმობის გახმობა მესაკუთრეს არ ათავისუფლებს თანხმობის გაცხადებით (მის ფარგლებში) დამდგარი/გამოწვეული საამრთლებრივი შედეგებისაგან.

20^1.8. მესაკუთრე იძლევა თანხმობას, მისი მონაცემების დამუშავების პროცესში გამსესხებელმა გამოიყენოს, როგორც ადამიანური ჩართულობით, ასევე ავტომატიზებული ფორმით დამუშავების მეთოდები.

20^1.9. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (I) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (II) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (III) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

20^1.10. მიუხედავად 20^1.9. პუნქტში მითითებული შეზღუდვისა მესაკუთრე თანახმაა და გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას, მესაკუთრის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

20^1.10.1. გამსესხებლის კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების გაწევის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის დაამუშავოს მესაკუთრის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), კერძოდ: სახელი; გვარი; პირადობის მოწმობის ნომერი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართები(რეგისტრირებული, ფაქტიური); ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ნებისმიერი კატეგორიის პერსონალური მონაცემი(შემდგომში "მონაცემი"), რომელიც მესაკუთრემ გამსესხებელს მიაწოდა სასესხო განაცხადის შევსებით, სატელეფონო საუბრით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ან სხვა ფორმით გახდა ცნობილი გამსესხებლისთვის. ამასთან მესაკუთრისგან გამსესხებლისთვის ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფორმით ინფორმაციის მიწოდება განიხილება როგორც მესაკუთრის თანხმობა გამსესხებლის მიერ ამ მონაცემების დამუშავების თაობაზე.

20^1.10.2. მესაკუთრე უფლებას აძლევს გამსესხებელს სადებეტო ბარათებით შეუფერხებელი მომსახურების გაწევის მიზნით განახორციელოს მესაკუთრის შესახებ არსებული მონაცემების გაცვლა /გადაცემა მესამე პირთათვის.

20^1.10.3. გამსესხებლის მიერ მესაკუთრის პერსონალური მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნების გარდა დამატებით განხორციელდეს შემდეგი მიზნებით:

20^1.10.3.1. მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

20^1.10.3.2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

20^1.10.3.3. გამსესხებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც გამსესხებელი ახორციელებს მესაკუთრის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

20^1.10.3.4. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

<u>20^1.11. მესაკუთრე აცხადებს და ადასტურებს, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემ(ებ)ი (მათ შორის, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური, საკონტაქტო და სხვა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის"(განთავსებული:https://scapp.ge/) და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამავდროულად, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს შეთავაზებ(ებ)ის მიღების შეწყვეტა იმავე ფორმით/არხით, რომლითაც იღებს შეთავაზებას/ებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოქმედებს უვადოდ (მის გამოხმობამდე), ხოლო თანხმობის გახმობის შემთხვევაში, მესაკუთრე ვეღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებას/ებს მომსახურების და/ან პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან დაკავშირებით. მესაკუთრის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გახმობის შემთხვევაში, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავება შეწყდება გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა."</u>

20^1.12. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპს ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მესაკუთრეს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის მეილზე წერილობით, ოფიცერი შემსრულებლის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 (კალენდარული) დღის განმავლობაში გასცემს პასუხს.

მუხლი.20^2.ინფორმაციის მიწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის

20^2.1 სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ" (იურდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #118, 1-ლი პავილიონი ს/კ 205274273) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს,

განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 21. სხვა პირობები

21.1 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი დამგირავებელი:

21.1.1. თითოეული ასეთი დამგირავებელი წარმოადგენს მოგირავნის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

21.1.2 თითოეული დამგირავებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს დამგირავებელი ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს;

21.1.3. თითოეული დამგირავებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად მოგირავნის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

21.1.4. ერთ-ერთ დამგირავებელთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა დამგირავებლების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ მოგირავნის მიერ რომელიმე დამგირავებლის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა დამგირავებლებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

21.1.5. ერთ-ერთი დამგირავებლის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, მოგირავნე უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ დამგირავებელს და მის მიმართ ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

21.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცა დამგირავებელს, ერთი მოგირავნეს, და ერთი წარედგინება სსს მომსახურების სააგენტოს

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით

წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად

არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“ არ არის ლიცენზირებული ბანკი

და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი.

მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

მხარეთა ხელმოწერები:

მოგირავნე:	**დამგირავებელი:**
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“ წარმომადგენელი	